28
დეკემბერი
ხუთშაბათი,
№ 214 (1850)
1961 წ.
გამოცემის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.



1962 წლის პირველობისათვის

ფრენბურთში საბჭოთა კავშირის 1962 წლის ჩემპიონატის თბილისის ქვეჯგუფის წინასწარი თამაშების II ტურში პირველი მატჩი შეხვდა კიშინიოვის „მოლდოვასა“ და კრასნოდარის „დინამოს“ ქალთა გუნდებს შორის. კრასნოდარელებმა იოლად სძლიეს მოწინააღმდეგეს — 15:9, 15:3, 15:4. მოლდავეთის გუნდი როგორც ტექნიკურად, ისე ფიზიკურად სუსტია და ამ ეტაპზე იბრძვის იმისათვის, რომ ძლიერ კოლექტივებთან შეხვედრებში მიიღოს სატურნირო გამოცდილება. მწვრთნელმა ნ. სუდაკოვმა მატჩის მსვლელობის დროს განაცხადა, რომ მათი კოლექტივი სრულიად ახალგაზრდაა და ახლა დგამს პირველ მორიდებულ ნაბიჯებს ფრენბურთში დოსტატების გზაზე. როცა მესამე პარტია მთავრდებოდა, და ელექტროტაბლოზე უწესივრობის გამო ფრენბურთის მატჩისათვის უჩვეულო ციფრი 90 გამოისახა, მწვრთნელმა ხუმრობით შენიშნა, — ნუ ასწორებთ, ჩვენ ეს ანგარიში სავსებით გვაკმაყოფილებს... ხუმრობა ხუმრობად დარჩეს, მაგრამ საჭიროა, რომ სპორტის სასახლეში ელექტროტაბლო ყოველთვის ზუსტად და სწრაფად ერთვოდეს.

მეორე მატჩი გაიმართა მოსკოვის „დინამოსა“ და თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის („ბურევესტნიკი“) ქალთა შორის. პირველი პარტია ჩვენმა ფრენბურთელებმა ალმავლობით დაიწყეს და უკვე რამდენიმე წუთში საგრძნობლად დაწინაურდნენ — 9:3, მაგრამ შემდეგ სტუმრებმა ჯერ გაათანაბრეს ანგარიში (9:9), ხოლო შემდეგ წინაც გავიდნენ — 14:12. თბილისელი ვ. ტონკონოგოვა და ლ. ვარდიშვილი ანგარიშის გათანაბრების შემდეგ (14:14) დიდი დაძაბვით ახერხებენ თითო ქულის მოპოვებას და პარტია მთავრდება 16:14 თბილისელთა სასარგებლოდ. ამ პარტიის მოგებით ჩვენმა გუნდმა დაამტკიცა, რომ მას გამარჯვება შეუძლია ისეთ მრისხანე მეტოქეებთანაც კი, როგორებიც მოსკოვის „დინამოელები“ არიან, მაგრამ უფრო მეტისათვის მათ არც ძალა და არც ტექნიკური სიმწიფე ეყოთ. საერთოდ, გუნდში შეიმჩნევა, რომ კოლექტივის წევრები არათანაბარი დატვირთვით არიან ნავარჯიშევი. ამაში ყველაზე მეტად სცოდავს გუნდის კაპიტანი, სპორტის ოსტატი ც. აბუაშვილი, რომელიც ამ შეჯიბრებაზე თავის შესაძლებლობებზე გაცილებით დაბლა თამაშობს. კოლექტივში არ იგრძნობა

(დასასრული მე-3 გვ.)

სურათზე: თბილისელი „ბურევესტნიკის“ წამყვანი მოთამაშე ვ. კაჭარავა ასრულებს დარტყმას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ბროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფიზკულტურა

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ПЕЛО

Орган Союза спортивных общества и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ დაამთავრა მუშაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ, 27 დეკემბერს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია განაგრძობდა მუშაობას. გრძელდებოდა კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებათა გამო. ხაბოლოო სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი ო. დ. გოცირიძე და საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი დეპუტატი ბ. ა. ჩხეიძე.

სესიამ ერთხმად მიიღო კანონები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის გეგმისა და საქართველოს სსრ 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, დაამტკიცა 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი ვ. ბ. ესაიაშვილი. შემდეგ გაიმართა კამათი, სესია ერთხმად ამტკიცებს კანონს საქართველოს სსრ, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ.

სიტყვა მოხსენებისათვის. დღის წესრიგის მეოთხე და მეხუთე საკითხებზე ეძლევა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს დეპუტატ ბ. ა. ცაგარეიშვილს. მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. სესია ერთხმად ამტკიცებს კანონებს საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების დებულების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა შესახებ მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა ზ. ბ. გელდიაშვილმა. სესია ამტკიცებს ბრძანებულებებს.

სესიის დღის წესრიგი ამოწურულია. საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ დაამთავრა მუშაობა.

ნ. გაფრინდაშვილმა კვლავ გაიმარჯვა

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). ჩვენი ქვეყნის საჭადრაკო გუნდური პირველობის IV ტური გაიმართა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში. თამაშის დაწყების წინ შევეკითხეთ გუნდების წარმომადგენლებს: რომელი ადგილის პრეტენზიები აქვთ? „ბურევესტნიკის“ და „სპარტაკის“ გუნდისთავებმა პირველობა, „ტრუდის“ კოლექტივმა მეორე ადგილითაც კმაყოფილი ვიქნებითო, „ავანგარდსა“ და „დუგავას“ აწყობთ მეოთხე ადგილი, არმიელებმა მეხუთეც ურიგო არ იქნებაო. ძნელია იმის თქმა, თუ რომელ გუნდს გაუმართლდება იმედები. ყოველ შემთხვევაში IV ტურმა ცხადყო, რომ „ბურევესტნიკის“ პრეტენზიები უფრო რეალურია.

ბურევესტნიკელები შეხვდნენ არმიელთა ნაკრებს. კვლავ ისახელა თავი ნ. გაფრინდაშვილმა, რომელიც თამაშობდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონთან — ბურცევასთან. დგბიუტიდან ქართველმა ოსტატმა მცირე უპირატესობა მიიღო. ბურცევა კარგად იცავდა თავს. მაგრამ პარტიის მეორე ნახევარი გაფრინდაშვილმა დიდი ალმავლობით ჩაატარა და 36-ე სვლაზე გაიმარჯვა. ეს მისი მეოთხე გამარჯვებაა ზედიზედ. პირველი დამარცხება განიცადა სმისლოვმა, რომელსაც მოუგო გელერმა. ბიკოვამ დაამარცხა ზვორიკინა. მატჩის ანგარიშია 6,5:2,5 „ბურევესტნიკის“ სასარგებლოდ.

„ტრუდის“ უპირატესობით მიმდინარეობდა მატჩი შეხვედრა „დუგავასთან“. ყაიმით დამთავრდა ტალ-კორჩნოის, გიპლის-ავერბახის შეხვედრები. ტრუდელებმა — შამკოვიჩმა დაამარცხა ხალვერი, ვლადიმიროვმა — კლიავინი, კოზლოვსკაიამ — ლაუბერტე 4:1 — ასეთი ანგარიშით შეწყდა ეს საინტერესო ორთაბრძოლა ტრუდელების სასარგებლოდ.

„სპარტაკისა“ და „ავანგარდის“ შეხვედრაში დიდი ინტერესი გამოიწვია პეტროსიანისა და შტეინის პარტიამ. საბჭოთა კავშირის XXVIII ჩემპიონატზე შტეინმა კარგად მოუგო პეტროსიანს. ამიტომ სპარტაკელი რევანშისათვის იბრძოდა. პეტროსიანმა ვირტუოზულად აწარმოვა პოზიციური თამაში. ჯერ პაიკი მოიგო, შემდეგ თამაშიდან შტეინის კუ გამოითამაშა და 39-ე სვლაზე გაიმარჯვა. ხოლმოვმა სწრაფად დაამარცხა კოცი. ყაიმით დასრულდა სიმაგინ-შიანოვსკისა, ფურმან-სახარავის, სუეტინ-ზურაბოვის პარტიები. ვოიცეკმა მოუგო ანტონოვას, კონტოროვიჩმა — ბრანკოს. ტოგონიძემ უკეთეს მდგომარეობაში გადადო პარტია კრიუკოვასთან.

IV ტურის შემდეგ „ბურევესტნიკს“ 23,5 ქულა და ხუთი გადადებული პარტია ჰქონდა, „ავანგარდსა“ და „ტრუდს“ 17 ქულა თითეულს. მაგრამ პირველს რვა გადადებული პარტია, მეორეს — შვიდი. ცდასა ჰქონდა 16,5 ქულა და ორი გადადებული პარტია, „სპარტაკს“ 15 ქულა და შვიდი გადადებული პარტია, „დუგავას“ 12 ქულა და ცხრა გადადებული პარტია. გუშინ შედგა გადადებული პარტიების დამთავრება.

მოსკოველთა დროული და საჭირო ინიციატივა

ჩვენი პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადწყვეტილებები ალაფრთოვანებს საბჭოთა ხალხს ახალ-ახალი შრომითი გამარჯვებებისკენ. საბჭოთა ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს მრავალმილიონიან არმიას, ისე როგორც მთელს ჩვენს ხალხს, თავისი წვლილი შეაქვს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი იწყებს ბრძოლას მშრომელთა მომსახურებისათვის და მოუწოდებს ჩვენი ქვეყნის სტადიონების, სპორტული ნაგებობების ყველა მუშაკს მხარი დაუჭიროს ამ წამოწყებას.

ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი იღებს შემდეგ ვალდებულებას:

ჩამოაყალიბებს ფიზიკური კულტურის სახალხო უნივერსიტეტს, რომლის მუშაობაში ჩაებამს მეცნიერებს, კვალიფიციურ მწვრთნელებს, გამოჩენილ სპორტსმენებს, შექმნის მუდმივმოქმედ სასწავლო-მეთოდურ კაბინეტს კონსულტაციისათვის როგორც მწვრთნელთა და სპორტსმენთათვის, აგრეთვე სტადიონზე მომსვლელთა ფართო წრისათვის, დააარსებს სახალხო თეატრს, რომლის პროგრამაში შეავიგურებით ფიგურული სრიალი, ბხატვრული და სპორტული ტანვარჯიში და სპორტის სხვა სახეობა. იმისათვის, რომ სტადიონზე მასობრივად მიიზიდოს მშრომელები, სტადიონის მუშაკთა ძალებითა და საზოგადოებრივი მსაჯების ხელმძღვანელობით მოაწყობა მასობრივი შეჯიბრებები ფრენბურთში, მძლეოსნობაში, კალათბურთში, ცურვაში და სხვ. სანიმუშოდ ჩაატარებს შეჯიბრებებს, გაუმჯობესებს ინფორმაციას, რეკლამას, პროგრამის ხარისხს, მოაზიდვა მოძრავი გამოფენა — „ფიზიკური კულტურა და სპორტი სსრ კავშირში“, წელიწადში ერთხელ ჩაატარებს სემინარს თემაზე — „ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა ბავშვებთან“ პიონერხელმძღვანელებისათვის.

• • •

რედაქციისაგან: კარგი ინიციატივა წამოიწყეს ვ. ი. ლენინის სახელობის მოსკოვის ცენტრალური სტადიონის მუშაკებმა. იგი შესაძლებლობას მისცემს ათი ათასობით მშრომელს საშუშოდან თავსუფალ საათებში ფიზიკურად გაძლიერდეს, გაეცნოს სხვადასხვა სპორტულ სახეობას, მიიღოს საჭირო რჩევა-დარიგება, განათლება. კარგი იქნება, თუ ჩვენი რესპუბლიკის სტადიონების, სპორტულ ნაგებობათა მუშაკები გამოეხმაურებიან ამ საჭირო და დროულ ინიციატივას, რითაც ხელს შეუწყობენ რესპუბლიკის მშრომელთა ფართო მასების ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმას და საქმით უპასუხებენ იმ ამოცანებს, რომლებიც კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ ჩვენს წინაშე დასახა.

კუბა, ბოლივია, ეკვადორი

ახლა დავუბრუნდეთ ისევ „უნივერსიადის“ სტადიონზე შემდგარ მატჩს, რომელიც დაიწყო ყოველგვარი ცერემონიალის გარეშე. ჩვენი თხოვნის მიუხედავად დანიშნული ადგილობრივი მსაჯი, აშკარად უპერდა მხარს „ვინსტერმანის“ ფეხბურთელებს და ყურადღების გარეშე ტოვებდა მოთამაშეთა მიერ წესების უხეშ დარღვევას. ქართველ ფეხბურთელთა ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად (პირველი ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ) ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. მცველები მოწინააღმდეგეების კარის აღებით იყვნენ გართული და მათი ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს საჯარიმო მოედანზე მარტოდ დარჩენილმა ხურცილავამ ვეღარ უზრუნველყო კარის მისადგომების დაცვა.

ჩვენი მოთამაშეები გამოაფხიზლა ამან და უკვე რამდენიმე წუთის შემდეგ დათუნაშვილმა გაათანაბრა ანგარიში. გამარჯვების შანსის დაკარგვამ გააცოფა ბოლივიელი ფეხბურთელები და თამაში აშკარა ხულიგნობაში გადაიზარდა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ მარჯვენა ინსაიდმა თავიც კი გაარტყა გ. ხოკოლავას. ამ უმსგავსოების დანახვაზე კარიდან გამოიჭრა ს. კოტრიკაძე, იქვე გაჩნდა ბ. სიჭინავა, მოწინააღმდეგეთა გუნდის მოთამაშეები. მხოლოდ მწვრთნელებისა და პოლიციელების ჩარევამ ააცდინა გუნდები სერიოზულ ინციდენტს.

გავიგეთ ჩვენი მოწინააღმდეგეების გაბოროტების მიზეზებიც. რამდენიმე თვის წინ ამ გუნდს ჩაუტარებია ტურნე სოციალისტურ ქვეყნებში, ვერც ერთი მატჩი ვერ მოუგია და სამშობლოში დაბრუნებულს თავის რეაბილიტაცია ამ ქვეყნების მუქ ფერებში დახატვით მოუხერხებია რეაქციული გაზეთების ფურცლებზე. მათი რეპუტაცია ახლა საკუთარ მოედანზეც ირყეოდა და მის გადასარჩენად ხულიგნობა მოიშველიეს. აღსანიშნავია, რომ მატჩის დამთავრების შემდეგ ამ ვაუბატონებს ხელიც კი არ ჩამოურთმევიათ სტუმრებისათვის.

რას იზამ, ერთი ხიდან ბარიც გამოდის და ნიჩაბიც — ნახევარ საათს მერე პრეს-კონფერენციაზე მიწვეულებს მქუხარე ტაშითა და შეძახილებით შეგვეგებენ ბოლივიელ მშრომელთა ჭეშმარიტი წარმომადგენლები, რომელთა ყველაზე დიდი სურვილია დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირთან.

ხალხის თვალში ჩვენ ვიყავით დიდი ქვეყნის პირველი წარმომადგენლები და ცდილობდნენ ყველაფერი გაეგოთ მასზე, რადგან საბჭოთა კავშირს მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების მსახურთა „პირველი წყაროებით“ იცნობდნენ. ასე მაგალითად, ჩვენს ჩასვლამდე, რომელიღაც ბელგიელ პროფესორს ლექცია წაუკითხავს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ მდგომარეობაზე.

როგორც შეკითხვაზე გაცემული პასუხით გავიგეთ, პროფესორს მხოლოდ 1908 წელს უმოგზაურია რუსეთში და ახლა, თითქმის 53 წლის გასვლის შემდეგ ცარიზმის უღელქვეშ მოქცეული ქვეყნის ეკონომიკა კომუნიზმის მშენებელი სახელმწიფოს მამოძრავებელ ძალად გაუსაღებია. ჩვენ შევეცადეთ განგვემარტა ამხანაგებისათვის მეცნიერის „ობიექტურობის“ მიზეზები და დაწვრილებით ვესაუბრეთ საბჭოთა ხალხის ცხოვრებაზე.

იმ დღეს სასტუმროში ვიღაც უცნობმა მამაკაცმა თავისი თავი პეტერბურგელ თავადად წარმომიდგინა და მითხრა:

— 44 წლის წინ აწყობილი სახელმწიფო დაგიტოვეთ. ახლა როგორ გამოიყურება იგი? მეფის რუსეთის უდღეურ ნაშიერს — ყოფილ თეთრგვარდიელ ოფიცერ ნიკოლოზ უსოვს რეპორტიორთა მთელი ამალა ახლდა და მისი თავიდან მოშორება უბრალოდ არ შეიძლებოდა.

— სიამოვნებით: კავისა და გუთნის ქვეყანამ, რომელიც თქვენ „დაგვიტოვეთ“, მსოფლიოს პირველი კოსმონავტები გამოზარდა — ეს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. საბჭოთა სპორტსმენები არავის უთმობენ პირველობას ოლიმპიურ თამაშებზე, რომლებშიც თქვენი მფარველი ძია სემიც მონაწილეობს—ეს სპორტში, საბჭოთა რუსეთი არავისაგან სესხულობს მარცვლეულს, პირიქით, სხვებსაც ამარაგებს — ესეც სოფლის მეურნეობის დარგში. მე მგონი საკმარისია არა? სიჩუმემ თანხმობა გამოხატა.

მესამე მატჩი, რომელიც პირობისამებრ ბავშვთა ქალაქის მშენებლობის დასახმარებლად გავმართეთ, განსაკუთრებული მონდომებით ჩაატარეს ჩვენმა დინამოელებმა, მათ ანგარიშით 5:2 დაამარცხეს ლა-პასის საკლუბო გუნდების ნაკრები და გათენებისთანავე გეზი აიღეს პედგო დავვემტკიცებინა მათთვის უბრალო ფაქტებით.

— მსოფლიო ჩემპიონატებზე და ოლიმპიურ თამაშებზე იმარჯვებენ საბჭოთა სპორტსმენები. — უკულტურო ქვეყნის წარმომადგენლები კი ასეთ წარმატებას ვერ მოპოვებენ; გაგარინმა და ტიტოვმა კოსმოსი დაიპყრეს, რაც ტექნიკისა და მეცნიერების უმაღლეს დონეზე დაყენების გარეშე წარმოუდგენელია, ან სულ უბრალოდ, შეხედეთ ამ ზორბა ფეხბურთელებს; ჰგვანან ისინი დამონებული ქვეყნის წარმომადგენლებს? მარტო საქართველოში ყოველ 1000 სულ მცხოვრებზე 38 უმაღლესი განათლების მქონეა.

ვფიქრობ, არგუმენტებმა ცოტა გამჭვირვალე მაინც გახადა „რკინის ფარდა“, რადგან დამატებითი შეკითხვები აღარ მოუცია.

გუიაკილი — ეკვადორის უდიდესი სავაჭრო ცენტრი და საპორტო ქალაქი, რომელიც გადმოცემის თანახმად ინდიელთა უძველესი ტომების წარმომადგენლებს ცოლ-ქმარი გუიასსა და კილს დაუარსებიათ.

მდინარე რიო-გვაიასს, შენაკადების ბავაევო-რიოსა და დაულის წყალობით საუცხოო მისადგომი შეუქმნია საოკეანო გემებისათვის, რომელთა საშუალებითაც ქვეყნის გარეთ იგზავნება მსოფლიოში ცნობილი „პანამის ქუდები“ და აგრარული ქვეყნის საექსპორტო კულტურები — ყავა, კაკაო და ბანანი.

სახლები და ქუჩები აქ უკეთესია, ვიდრე ლა-პასში (განსაკუთრებით ქალაქის ცენტრში). კაპიტალური ბინების მშენებლობა მხოლოდ 30 წლის წინ დაუწყიათ, მაგრამ მდიდარ მესაკუთრეთა კოხტა კოტეჯების გვერდით ერომანეთზე მიჯრილი ბამბუკის ქოხმახები კიდევ უფრო ააშკარავებენ მცხოვრებთა სოციალურ დანაწევრებას. უმუშევარსა და უბინაოს არც თუ ისე იშვიათად შეხვდებით სადარბაზო შესასვლელებში და ქვაფენილებზე მძინარეებს.

საპორტო ქალაქში გამეფებული ანტისანიტარიის გამო (საილუსტრაციოდ შეიძლება აღინიშნოს, რომ ნაგავს აქ ადგილებზევე წვავენ) ბავშვთა სიკვდილიანობა წელიწადში 75 პროცენტამდე აღის. სახელოვანი წინაპრების ნაშიერთა ბედ-იღბალზე გვესაუბრება ქალი, რომელმაც აეროდრომზევე შემოგვთავაზა თავისი თავი გიდათ. მისი ქალიშვილი მოსკოვის კონსერვატორიის სტუდენტია და დედას სურს რაიმეთი გვცეს პატივი საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს.

სასტუმრო „კონტინენტალში“ ახალგაზრდული ორგანიზაციების—კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის, უნივერსიტეტების სტუდენტთა ფედერაციისა და სოციალისტური ახალგაზრდობის წარმომადგენელთა ალყაში მოვექეცით; ეკვადორელ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს შორეულ თანატოლთა ცხოვრების სხვადასხვა მხარე აინტერესებდა.

ნამუადღევს თარჯიმან ლოგინოვთან ერთად მიმწვანენ რედაქტორი და მთხოვეს — გამეშუქებინა საბჭოთა კავშირსა და საქართველოში ფიზიკური კულტურის განვითარების მთელი რიგი საკითხები. ჩვენი ქვეყნის ფიზიკური კულტურის სტრუქტურისა და სისტემის გაცნობის შემდეგ შემეკითხნენ — არის თუ არა თქვენთან რასობრივი შეზღუდვა სპორტშიო.

ამაზე მე მათ მოვაგონე, რომ მარტო საქართველომ მოპოვებული მედლების რაოდენობით ოლიმპიურ თამაშებზე უკან მოიტოვა საფრანგეთი, ფინეთი, დანია და სხვები. რასობრივი დისკრიმინაციით შეზღუდული კუთხე კი ბუნებრივია, ასეთ წარმატებას ვერ მოიპოვებს_მეთქი.

საღამოს უკვე ტელემაყურებლების წინაშე მოგვიხდა გამოსვლა მე, შ. იამანიძესა და ს. კოტრიკაძეს.

— სამხრეთამერიკული ფეხბურთი საერთოდ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზეო — დასმულ კითხვაზე დადებითი პასუხი გასცა შ. იამანიძემ.

ამან არ დააკმაყოფილა ტელემაუწყებლობის პრეზიდენტი და გვითხრა:

— კუბის ფეხბურთი სამხრეთამერიკული ფეხბურთი არაა. ეკვადორელები სხვა ყაიდის მოთამაშეები არიან და ამაში მალე დარწმუნდებითო.

გულშემატკივრის თავგადოდებას ს. კოტრიკაძემ ცივი წყალი გადაასხა:

— ხვალ თამაშია, უკეთესს ბურთი და მოედანი გაგოაჩენსო. შეჯიბრების დღეს გაზეთებში გამოქვეყნებული იყო ცნობა, ფიდელ კასტრომ ძალით წააგებინა თავის ფეხბურთელებს, რათა ხალხის თვალში საბჭოთა წყობილების უპირატესობა გაეზარდაო. ისინი არც ბოლივიელებს ინდობდნენ — გაუნათლებელი ხალხია, თამაშის რა იციანო. სხვადასხვა გაზეთის მიმომხილველები ერთ რამეში მაინც თანხმდებოდნენ — „კუბასა და ბოლივიაში დაუმარცხებელი დინამოელები დიდი ანგარიშით დამარცხდებიან „ემელენის“ ფეხბურთელებთანო“.

ამგვარმა ბაქიობამ ჩვენი ბიჭებიც გააგულისა და „გუიაკილის“ სტადიონზე 60 ათასი მაყურებლის თვალწინ დაამსხვრიეს მათი საანქებო „ემელენის“ უძლეველობის მითი.

მატჩის საბოლოო ანგარიშმა (6:2) თბილისელთა სასარგებლოდ გულშემატკივრები ადგილზე გააქვავა და ბოლო მოეღო ორი ორკესტრის ჯაზურ „კრიმანჭულს“, რომელსაც სპეციალური პისტოლეტების ბათქა-ბუთქი ერთვოდა.

გასასვლელთან ვიღაცამ დაგვიძახა — შეჩერდითო. სიგნალი დროული იყო, რადგან, როგორც შემდეგში გავიგეთ, რეაქციონერთა დაქირავებულ ხულიგნებს ჩვენი ავტობუსი საფუძვლიანად დაესეტყვათ ქვებით. თანდათანობით ყველა შევგროვდით და ვთხოვეთ პოლიციელებს ზომები მიეღოთ მოხულიგნო ელემენტების დასაოკებლად. აქ როგორც ჩანს, სიტყვაზე მაგრად იარაღი ჭრის — პოლიციელმა პისტოლეტი ვესტიბიულშივე გაისროლა რამდენჯერმე და ბრბოს გაფანტვის შემდეგ საშუალება მოგვეცა ავტობუსში ავსულიყავით. არეულობაში ვიღაცამ სმირნოვს ბურთიც კი გამოგლიჯა.

(დასასრული იქნება).

ᲑᲝᲚᲘᲕᲘᲐ, ᲔᲙᲕᲐᲓᲝᲠᲘ

Ბ. ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ,

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზევით — რეპროდუქციები ეკვადორის გაზეთებიდან.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზ. „ლელო“ № 212, 213.

ეს არ არის კრივი



★

სურათებზე: (ქვევით) მინსკისა და თბილისის მოკრივეთა ამხანაგური შეხვედრის მონაწილენი სახელმწიფო ცირკის რინგზე. (ზემოთ) სპორტის ოსტატების ს. ჩოტულიდის (თბილისი) და ე. ბოგდანოვსკის (მინსკი) ბრძოლის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

★



ს წრაფად და თვალშეუვლებლად მოძრაობენ სპორტსმენები რინგზე. ზუსტი და სხარტი დარტყმები თანმიმდევრულად ცვლიან ერთმანეთს. აი საბედისწეროდ მოქნეულ ხელს ოსტატურად იცილებს ერთერთი მოკრივე და თვითონ გადადის კონტრშეტევაზე. მაგრამ მისი მოწინააღმდეგეც ფხიზლადაა, იგი უკანასკნელ მომენტში უსხლტება მეტოქის დარტყმას და ხელსაყრელ პოზიციას იკავებს ახალი შეტევისათვის. ყველაფერი გხიბლავთ ამ ბრძოლაში: მოძრაობათა უაღრესად ზუსტი კოორდინაცია და ძეტევის ეფექტური მანერა, დარტყმების ძალა და სიზუსტე და გონებამახვილური დაცვა...

ასეთი უნდა იყოს კრივი ჩვენს წარმოდგენაში — ლამაზი და ათლეტური ბრძოლა. ასეთ კრივს ჰქადაგებენ უკვე კარგა ხანია რესპუბლიკის წამყვანი მწვრთნელები ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. შევაყვაროთ კრივი ახალგაზრდობას, დავინტერესოთ კრივით ისინი და ვნახავთ, რომ ჩვენს რესპუბლიკას პირველხარისხოვან ოსტატთა გაამზრდის უშრეტი შესაძლებლობა აქვს!

მაგრამ საქმე სწორედ იმაშია, რომ ხშირად ჩვენს მაყურებლებს საწინააღმდეგო გაკვეთილს ვაძლევთ და ამით საკმაოდ დაბლა ვცემთ კრივის ეფექტს. მაგალითად სათვის შორს წასვლა არ არის საჭირო. მინსკისა და თბილისის მოკრივეთა სამატჩო შეხვედრა ამ მხრივ კლასიკური მაგალითია.

...რინგზე არიან პირველი ქვესაშუალო წონის სპორტსმენები, პირველთანრიგოსანი ვ.კონდრიახინი და სპორტის ოსტატი ზ. კოზაევი. ამ უკანასკნელის სტილი თბილისის მაყურებლისათვის კარგადაა ცნობილი: მას არ სწამს დაცვა, ტექნიკური მანევრირება. იგი ხედავს წინ მხოლოდ მეტოქეს და თავდავიწყებით მიიწევს მისკენ, თუმცა იღებს უამრავ გაუთვალისწინებელ დარტყმებს. კოზაევს ამჯერად შეხვდა სწორედ თავისი სტილის მეტოქე და აი, პირველსავე წუთზე დაიწყო გაფთრებული, „თვალდახუჭული“ ბრძოლა.

ასეთ დროს არავითარ სანახაობრივ ეფექტზე არ შეიძლება ლაპარაკი. ბრძოლა იღებს ამაზრზენ სახეს და მაყურებელი მხოლოდ შეხვედრის მალე დამთავრებაზე ფიქრობს. განსაკუთრებით არაესთეტური იყო ბრძოლის უკანასკნელი ფაზა — მესამე რაუნდი. ქანცგამოლეული მოკრივეები ერთმანეთზე თავებით მიყრდნობილნი უაზროდ ასავსავებდნენ ხელებს და სპორტული ბრძოლის ნაცვლად, კრივის საცოდავ იმიტაციას ახდენდნენ. ვინ გაიმარჯვა ამ ბრძოლაში? კოზაევმა, ასეთი იყო საერთო შთაბეჭდილება. მაგრამ განა ეს გამარჯვებაა? განა ეს კრივია? ასეთი მაგალითით კრივს, რა თქმა უნდა, პოპულარულს ვერ გავხდით და მას ვერ შევაყვარებთ ახალგაზრდებს.

კარგი რომ კოზაევ-კონდრიახინის ბრძოლა გამონაკლისს წარმოადგენდა. სხვა შეხვედრებში სპორტსმენები წარმატების მიღწევას ტექნიკურ-ტაქტიკური უპირატესობის ხარჯზე ცდილობდნენ. რამდენად გამოსდიოდათ მათ ეს, უკვე ამათუიმ სპორტსმენის ოსტატობაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ ტაქტიკური ბრძოლის სურვილს თავად ფაქტიც კი უკვე მესაალმენელია. —

თბილისის-ნარიმბა (ამ შეხვედრაში ისინი, როგორც სტუმრები, თავიანთი საუკეთესო შემადგენლობით არ გამოდიოდნენ) მატჩი მინსკის გუნდთან მოიგო დამაჯერებელი ანგარიშით — 7:3. განსაკუთრებით კარგად ჩაატარეს ბრძოლები დაბალი წონის წარმომადგენლებმა გ. ფერაძემ, ვ. პაპანდოპულომ, ს. ჩოტულიდმ და ვ. ცერცვაძემ (რომლებმაც შესაბამისად დაამარცხეს გ. შიშნიაკოვი, ვ. კოჩნევი, ე. ბოგდანოვსკი და ლ. მარშაკი) და ამით განაპირობეს კიდეც გუნდის საერთო წარმატება. პირველი ქულა მინსკის გუნდმა აიღო მეორე ქვესაშუალო წონაში, როდესაც ბ. რუსაკმა დაამარცხა შედარებით სუსტი მოწინააღმდეგე ბ. ზატიკიანი. შემდეგ თბილისელმა ა. ხატოევმა გუნდს მორიგი ქულა მოუტანა (მან დაამარცხა ი. იაკოვლენკო).

დაძაბული ბრძოლების შემდეგ აიღეს ორი ქულა სტუმრებმა მეორე საშუალო და ქვემძიმე წონებში (ა. კოზლოვსკიმ მოუგო მ. მამამთავრიშვილს და ს. პედამ — ა. ფროლოვს). მძიმე წონაში კ. ბაბახანიდმა პირველსავე წუთზე ნოკაუტით დაამარცხა საკმაოდ გამოცდილი სპორტის ოსტატი ა. ივანოვი.

ნ. ახვლედიანი

1962 წლის პირველობისათვის

(დასასრული)

მოთამაშეთა ზუსტი ურთიერთმოქმედება და სწორედ ეს იყო იმისი მიზეზი, რომ შემდეგი პარტიები თბილისელებმა წააგეს ანგარიშით 2:15 (!), 8:15; 11:15. ამგვარად, მოსკოვის „დინამომ“ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა ანგარიშით 3:1.

თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა („ბურევესტნიკი“) და აშხაბადის „ზახმეტის“ ვაჟთა შეხვედრას წინ ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ სტუდენტები იოლად გაიმარჯვებდნენ. თბილისელები პირველ პარტიაში საბრძოლო შემადგენლობით გამოვიდნენ და მართლაც ადვილად სძლიეს აშხაბადელებს — 15:5. ამ დროს მწვრთნელმა ა. თევოსიანმა მეორე პარტიის დასაწყისშივე თბილისელთა 4 ძირითადი მოთამაშის ნაცვლად შემოიყვანა სათადარიგო მოთამაშეები, სანამ სათადარიგონი შეთამაშდებოდნენ, სტუმრებმა მათ შესაფერისი ძალა დაახვედრეს და კარგა ხანს ვერც ერთი გუნდი ვერ გაიჭრა წინ. როცა ანგარიში 9:9 იყო, მხოლოდ მაშინ შეძლეს თბილისელებმა დაწინაურება და პარტიის მოგება — 15:10. მესამე პარტიის დასაწყისში თამაშში კვლავ ჩაერთო ვ. კაჭარავა, შემდეგ სხვა ძირითადი მოთამაშეებიც, მაგრამ საქმეს ამან ვერ უშველა. სანამ წამყვანი მოთამაშეები კვლავ კალაპოტში ჩადგებოდნენ, პარტია წაგებულ იქნა (12:15). მოწინააღმდეგეთა ძალების ასეთმა შეუფასებლობამ გამოიწვია ის, რომ ჩვენმა გუნდმა მეოთხე პარტიაც ძალზე უფერულად ჩაატარა. მოთამაშეები ნერვიულობდნენ და როცა ანგარიში იყო 12:8 „ზახმეტის“ სასარგებლოდ, მხოლოდ მაშინ ამოქმედდნენ მთელი შესაძლებლობით, თუმცა პარტიის ბედი მაინც ბეწვზე ეკიდა—12:12... 13:13... 14:14... 15:15... და ბოლოს, თბილისელთა ძნელი გამარჯვება — 17:15. ჩვენმა სტუდენტებმა მატჩი მოიგეს (3:1), მაგრამ მწვრთნელის მცდარი გადაწყვეტილების გამო მათ ეს მატჩი კინაღამ წაგების ფასად დაუჯდათ..

მეორე ტურის ცენტრალურ შეხვედრას წარმოადგენდა ლენინგრადის „სპარტაკისა“ და ბაქოს „ბურევესტნიკის“ ვაჟთა მატჩი. ამ ორი თანაბარი ძალის კოლექტივების მატჩში გამარჯვება წილად ხვდათ ბაქოელებს — 3:1 (10:15, 15:5, 15:13, 15:12). აზერბაიჯანელ ფრენბურთელთა შორის შესანიშნავი ოსტატობა გამოამჟღავნეს რ. ეიდელმანმა, ო. აგაევმა და ზ. ნაგიევმა.

გუშინ საღამოს შედგა მესამე, უკანასკნელი ტურის შეხვედრები. თბილისის „ბურევესტნიკმა“ დაამარცხა რა კრასნოდარის „დინამო“ ანგარიშით 3:1, მოსკოვის „დინამოსთან“ ერთად მოიპოვა ფინალში მონაწილეობის უფლება. ვაჟთა შორის ფინალში გავიდნენ თბილისის „ბურევესტნიკი“ (ამ დღეს მან დაამარცხა ლენინგრადის „სპარტაკი“) და ბაქოს „ბურევესტნიკი“ (რომელმაც დაამარცხა აშხაბადის გუნდი).

ჯ. ენუქიძე

პროგნოზები არ გამართლდა

ლვოვი. ფარიკაობაში სსრ კავშირის თასის გათამაშების ყოველგვარი პროგნოზები დაამსხვრია დაშნით მებრძოლთა შეჯიბრებამ.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ბ. ხაბაროვი მერვედფინალშივე დამარცხდა. მეოთხედფინალში დაძაბული ხასიათი ჰქონდა ე. ბიკოვისა და ვ. ბაზილევიჩის შეხვედრას. ანგარიში იყო 14:14 და ბაზილევიჩმა მხოლოდ გადამწყვეტი, მე-15 ჩხვლეტის მიყენებით შეძლო ნახევარფინალში მონაწილეობის უფლების მოპოვება.

ნახევარფინალის მეორე მონაწილე უნდა გამოვლინა ბელორუსელი სპორტის ოსტატის ა. ჩერნუშევიჩისა და სსრ კავშირის ჩემპიონ გ. კოსტავას შეხვედრას. ამ უკანასკნელმა უფერულად ჩაატარა შეჯიბრება და დამარცხდა — 2:10.

ფინალში ვ. ბაზილევიჩმა დამაჯერებელი ანგარიშით—10:4 მოუგო ა. ჩერნუშევიჩს და მოიპოვა სსრ კავშირის თასი.

ბათუმი

დამთავრდა ბათუმის პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში. ვაჟთა შორის 100 მეტრზე რბენაში ჩემპიონობა მოიპოვა გემსაშენი ქარხნის მუშამ ე. კევხიევმა — 11,4 წამი. მისივე გამარჯვებით დამთავრდა სიმაღლეზე ხტომაც — 165 სმ. ვაჟთა შორის 400 და 800 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა დინამოელმა გ. იმნაძემ. მისი თანაგუნდელი ი. პუპარევიჩი პირველი იყო 5000 მეტრზე რბენაში — 15.49,4. საშხტომში გაიმარჯვა რ. გოგიამ („ლოკომოტივი“) — 13.24 მ.

ქალთა შორის სამი პირველი ადგილი (ბირთვი, ბადრო, შუბი) მოიპოვა ა. ისპირიანმა („დინამო“).

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი და ქალაქის ჩემპიონობა მოიპოვა „დინამომ“. მეორეზეა „ლოკომოტივი“ და მესამეზე — სახელოსნო სასწავლებლის გუნდი.

• • •

დამთავრდა სპორტსაზოგადოება «განთიადის» აჭარის საოლქო საბჭოს გუნდური პირველობა მაგიდის ჩოგბურთში.

პირველი ადგილი და საზოგადოების ჩემპიონის წოდება მოიპოვეს სამკერვალო ფაბრიკის ჩოგბურთელებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის კოლექტივი, მესამეზე — თამბაქოს ფაბრიკის სპორტსმენთა გუნდი.

ი. კუსიდი

გორი

დამთავრდა გორის პირველობა ფეხბურთში. გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ავტოსატრანსპორტო კანტორისა და ბამბეულის კომბინატის გუნდები.

ტრანსპორტელებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 3:1 და მოიპოვეს პირველი ადგილ

თ. კობიაშვილი

სოციალისტური ქვეყნების მონაწილეობით

ბუდაპეშტში მუშაობა დაამთავრა სოციალისტური ქვეყნების ცურვის მწვრთნელთა კონფერენციამ, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სოციალისტური ქვეყნების ცურვის სპეციალისტთა დაახლოვება და თანამედროვე ცურვის სხვადასხვა საკითხში გამოცდილების ურთიერთგაზიარება. კონფერენციაში მონაწილე რუმინეთის, გდრ-ს, პოლონეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის მოცურავეები თავიანთი შედეგებით ჯერ კიდევ ჩამორჩებიან იაპონიის, ამერიკისა და ავსტრალიის სპორტსმენებს.

ცურვის ევროპული ფედერაციის პრეზიდენტის ბელა რაიკის (უნგრეთი) შესავალი სიტყვის შემდეგ კონფერენცია მუშაობას შეუდგა, მოხსენებათა მიხედვით დისკუსიებიც გაიმართა, მაგრამ დელეგატებმა საერთო აზრი გამოხატეს ასაკობრივ ჯგუფებად დაყოფაზე ადრეული სპეციალიზაციისათვის, ექიმთა მეთვალყურეობის ქვეშ დილის გამამხნევებელი ვარჯიშისა და საერთო ფიზიკური მომზადების ჩატარებაზე მცირე ასაკიდან, ცურვის თანამედროვე მეთოდიკის მიხედვით გრძელ მანძილებზე ცურვის ინტენსიური და ინტერვალური ვარჯიშის ჩატარებაზე და სხვა.

კონფერენციამ მიიღო დადგენილება წვრთნისა და შეჯიბრებების ორციკლური პერიოდიზაციისათვის, რათა წვრთნის მოსამზადებელი, ძირითადი და გარდამავალი პერიოდი ყველა სოციალისტურ ქვეყანაში ერთ და იმავე დროს ტარდებოდეს.

კონფერენციაზე ჩეხოსლოვაკიისა და გდრ-ს დელეგატებმა მონაწილეებს აჩვენეს მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო სპორტსმენთა ცურვის უახლესი ტექნიკის ამსახველი დოკუმენტური ფილმები.

ა. საფრონოვი,

საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელი.



ს. ტიტოვი

თ. მანინა

საბჭოთა კავშირის 1961 წლის აბსოლუტური პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში.

ინგლემარ იოჰანსონის ახალი მატჩი

ინგლემარ იოჰანსონი, რომელიც ფლოიდ პატერსონთან მატჩის წაგების შემდეგ ძირითადად კომერციული საქმეებით იყო გართული, ამჟამად კვლავ წვრთნას გადის და ახალი ბრძოლებისათვის ემზადება. როგორც მსოფლიო ექსჩემპიონის მენაჯერმა ედვინ ალტერმა განაცხადა, მისი მეტოქე იქნება იამაიკის მკვიდრი ჯო ბალკრასტ, რომელიც ბრიტანეთის „ერთა გაერთიანებაში“ შემავალი ქვეყნების ყოფილი ჩემპიონია.

მატჩი შვეიცარიაში გაიმართება.

საერთაშორისო ტურნირი მელბურნში

მელბურნში გაიმართა დიდი საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში. ქალთა შორის წყვილთა ფინალურმა მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია. ავსტრალიელებმა სმიტმა და ევნმა დაამარცხეს ჰარდი (ამერიკის შეერთებული შტატები) და რემირეზი (მექსიკა) 6:3, 7:5. მოულოდნელი შედეგით დამთავრდა შეჯიბრება ვაჟთა წყვილებს შორის. აქ სტოლმა და ჰიუტმა (ორივე ავსტრალია) დაამარცხეს თავიანთი სახელოვანი თანამემამულენი ფრეზერი და ემერსონი ანგარიშით 4:6, 6:2, 6:0, 6:3.

განსაკუთრებული ინტერესით მოელოდნენ ფინალს ვაჟთა შორის როი ემერსონსა და იტალიის უძლიერეს ჩოგბურთელ ნიკოლა პეტრანჯელის შორის. ორივემ წელს რანდენიმე მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურნირში მოიპოვა გამარჯვება. ამჯერად პეტრანჯელი ცუდ ფორმაში აღმოჩნდა და ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია თავის მრისხანე მეტოქეს. გაიმარჯვა ემერსონმა ანგარიშით 6:4, 6:2, 6:1 და დაისაკუთრა პირველი ჯილდო.

ოთხი გუნდი გამოეთიშა ტურნირს

ერთი თვის წინ ევროპის კალათბურთელთა უძლიერესმა საკლუბო გუნდებმა დაიწყეს შეჯიბრება კონტინენტის საუკეთესო კოლექტივის სატიტულო წოდების მოსაპოვებლად. მართალია, ეს „მარათონული“ ტურნირი დამთავრდება მომავალ, 1962 წელს, მაგრამ რამდენიმე გუნდმა უკვე დასტოვა ასპარეზობა.

შემდგომი ბრძოლის უფლება სხვებზე უფრო ადრე დაკარგა რუმინეთის ჩემპიონმა, რომელმაც წააგო ორივე მატჩი თბილისის „დინამოსთან“. თავის მხრივ დინამოელებმა, სხვა 23 გუნდს შორის საწყისი ზღვარი პირველებმა გადალახეს წარმატებით.

რუმინეთის ჩემპიონის ბედი გაიზიარა ლუქსემბურგის უძლიერესმა საკლუბო კოლექტივმა „ეტცელმა“. პირველი მატჩი საკუთარ მოედანზე მან 15 ქულის განსხვავებით (51:66) წააგო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონთან — ჰეიდელბერგის უნივერსიტეტის გუნდთან. განმეორებით მატჩში სტუდენტების უპირატესობა კიდევ უფრო საგრძნობი იყო. მათ მოიგეს შეხვედრა ანგარიშით — 83:59.

პორტუგალიის ჩემპიონი „ბენფიკა“ დიდხანს და გულმოდგინედ ემზადებოდა იტალიის ჩემპიონის „იგნისის“ (ქ. ვარესე) წინააღმდეგ შესახვედრად. მაგრამ იტალიელებმა შედარებით იოლად მოიგეს მატჩი ბარსელონაში (73:49) და ამით ფაქტიურად გაინაღდეს შემდგომი ბრძოლის უფლება. საკუთარ მოედანზე „იგნისმა“ გაანადგურა „ბენფიკა“ (101:48), რომელიც გამოეთიშა კიდეც შეჯ ბრებას.

უნგრეთის ჩემპიონმა „ჰონვედმა“ ორივე მატჩი მოუგო გდრ-ს ჩემპიონს (84:58 და 113:61). ეს უკანასკნელი გამოეთიშა ჩემპიონატს.

ამ დღეებში განმეორებით შეხვედრებს ჩაატარებენ საფრანგეთის და ჰოლანდიის, ფინეთის და დანიის, ისრაელისა და საბერძნეთის ჩემპიონები. როგორც ცნობილია, პირველი მატჩები მოიგეს საფრანგეთის (12 ქულის განსხვავებით), ფინეთის (13 ქ.), ისრაელის (24 ქულა) კალათბურთელებმა.

ჩემპიონატის მეორე ტურში გასული იტალიის გუნდი შეხვდება მაროკოსა და ესპანეთის კოლექტივებს შორის გამარჯვებულს, გფრ-ს ჩემპიონი — ავსტრიასა და იუგოსლავიას შორის გამარჯვებულებს, ხოლო თბილისის „დინამო“ — უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელთა შორის გამარჯვებულ კოლექტივს.

თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ნელი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ხ. სიხარულიძე) ლი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ბ. ბიჯანოვი, ვ. ჩხეიძე და ხ. სირაძე

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔᲓᲐ: ნორჩი ფეხბურთელები ი. ზაზროევი, თ. ღოღობერიძე, გ. ბერეგრებები, რისთვისაც ისინი დაჯილდოვებულ იქნენ სიგელებით.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔᲓᲐ: ნორჩი ფეხბურთელები ი. ზაზროევი, თ. ღოღობერიძე, გ. ბერეგრებები, რისთვისაც ისინი დაჯილდოვებულ იქნენ სიგელებით. ᲡᲘᲒᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲛᲝᲠᲗᲛᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ. ᲐᲦᲚᲘᲡᲖᲠᲓᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ. ᲤᲝᲢᲝ Ი. ᲘᲣᲜᲐᲔᲕᲘᲡᲐ.

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲬᲠᲝᲜᲘᲙᲘ

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲘ

ნიუ-იორკში ამას წინათ გაიხსნა რესტორანი, სადაც მთელი მომსახურე პერსონალი ყოფილი და თანამედროვე გამოჩენილი სპორტსმენების ორეულებისაგან შედგება. მეტრდოტელი პირწავარდნილი ჯეკ დემპსეია, მეგარდერობე ქალი სონია ჰენიხ ჩამოგავს, ხოლო ფეხსაცმელების მწმენდავი, ფლოიდ პატერსონს მოგაგონებს.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ

ჰიჩინტაუნში (ინგლისი) ადგილობრივმა ფეხბურთის კლუბმა დააარსა მსოფლიოში პირველი ფეხბურთის მუზეუმი. კოლექციის ყველაზე უფრო ძვირფას ექსპონატად მიჩნეულ იქნა სტენლი მეტიუზის ბუცები და 20.000 გირვანქა სტერლინგის ქვითარი, რომელიც ტომ ლაუტონის ომამდელ ჯონებას შეადგენდა.

87 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘ ᲡᲐᲐᲗᲨᲘ

ჰამბურგში, ევროპის თასზე ფეხბურთში ადგილობრივი კლუბისა და „ბარსელონას“ შეხვედრის დროს გამოიყენეს სპეციალური აპარატი, რომლითაც დარტყმული ბურთის სიჩქარეს განსაზღვრავენ.

აღმოჩნდა, რომ ცნობილი ბომბარდირის უვე ზეელერის მიერ დარტყმული ბურთის სიჩქარე მხოლოდ 62 კილომეტრს შეადგენს საათში. საუკეთესო შედეგი — 87 კილომეტრი საათში ეკუთვნის გუნდის სათადარიგო მოთამაშეს ჰანს კრემერს.

ᲐᲛᲐᲞ ᲨᲠᲝᲛᲐ

გასართობის ძიებაში ინგლისელი საქმოსანები არაფრით ჩამორჩებიან თავიანთ ოკეანესგაღმელ მეგობლებს, ხშირ შემთხვევაში კი აჭარბებენ კიდევაც. აი შესანიშნავი ნიმუშიც. ამ რამდენიმე ხნის წინათ ლონდონელი საქმოსანი მ. კრემერი დიდძალ ფულად ჯილდოს დაჰპირდა მას, ვინც შეძლებდა მხოლოდ საკუთარი ძალების გამოყენებით ასულიყო ჰაერში.

ახლადგამომცხვარი ავიომეცნატის მიერ აღთქმული ჯილდოს მიღების მრავალი მსურველი აღმოჩნდა, მაგრამ ბედმა მხოლოდ ერთს „გაუღიმა“ — ინგლისელმა მფრინავ-გამომცდელმა ჯ. ფილიპსმა საკუთარი კონსტრუქციის თვითმფრინავით, რომლის პროპელერი მოძრაობაში მოჰყავდა ველოსიპედის გადამცემს, ორი მეტრის სიმაღლეზე 160 მეტრი გაფრინდა.

მაგრამ მ. კრემერმა აღთქმული ჯილდო არ გასცა, რადგან ფილიპსმა ვერ დააკმაყოფილა კრემერის მეორე მოთხოვნა: ფილიპსმა ვერ დაფარა ერთი მილი.

ესკარტინი ასახელებს მოთამაშეებს

ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პ. ესკარტინიმ გამოაცხადა პირველი და მეორე ნაკრების შემადგენლობანი, რომლებმაც უახლოეს საერთაშორისო თამაშებში უნდა მიიღონ მონაწილეობა. პირველ ნაკრებში შეყვანილია 17 მოთამაშე, მეორეში — 18. საყურადღებოა, რომ ნაკრებში არ არიან მეკარეები ვისენტე და ალონსო (ორივე ტრავმირებულია), აგრეთვე ცენტრალური მცველი გარაი, რაც შეეხება გამოჩენილ ფორვარდ სუარესს, რომელიც ამჟამად იტალიის კლუბ „ინტერნაციონალეში“ თამაშობს, იგი მსოფლიო ჩემპიონატის წინ წვრთნას გაიცლის ესპანეთის ნაკრებთან და ჩილში გაემგზავრება. პ. ესკარტინის განცხადებით პირველი ნაკრების შემადგენლობა ასეთია: მეკარეები არაკისტაინი და კარმელო; მცველები — რიველა, სანტამარია, მიერა და მესტრე; ნახევარმცველები — აგუირე, ზოკო და პაჩინი; თავდასხმა — ზალდუა, დელ სოლი, დი სტეფანო, ჰეირო, კოლარი, ჰენტო და რუიზი.

პრესა ფართო კომენტარს უკეთებს ესპანელთა უკანასკნელ მატჩს პარიზში ფრანგებთან (1:1), სადაც ფრანგებს დიდი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ. მაღალ შეფასებას აძლევენ ესპანელთა ცენტრალური მცველის სანტამარიას თამაშს, რომელმაც გამოთიშა ფრანგების მეტად სახიფათო ცენტრფორვარდი სკობა. თავდასხმაში უძლიერესი იყო საუცხოო ფორმაში მყოფი დელ სოლი. მარჯვენა გარემარბმა ზალდუამ „ბარსელონიდან“, რომელმაც ამ დღეს პირველად შეცვალა ტეხადა, თავისი დებიუტი სავსებით დამაკმაყოფილებლად ჩაატარა. სამაგიეროდ, შორსაა ჩვეული ფორმისაგან ჰენტო.

როგორც მიმომხილველები იუწყებიან, ესპანეთის ნაკრებს ერთი საშიშროებაც მოელის. საქმე იმაშია, რომ 31 დეკემბერს უთავდება ხელშეკრულების ვადა ნაკრების მთავარ მწვრთნელს პ. ესკარტინის. ეს გამოცდილი მწვრთნელი ნაკრებთან ხელშეკრულების განახლებას არ აპირებს. იგი ფორმალურად იმას ემყარება, რომ მისთვის, როგორც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის წევრისა და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯისათვის, შეუთავსებელია ესპანეთის ნაკრების მწვრთნელობაც. მაგრამ, როგორც „ავი ენები“ ამბობენ, ესკარტინის არ წამს ესპანეთის ნაკრების ძალისა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატის წინ.

რედაქტორი Ი. ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ.

30
დეკემბერი
ᲡᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲘ
ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲐᲢᲩᲘ
ᲮᲔᲚᲒᲣᲠᲗᲨᲘ
ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მონაწილე „ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ“ (კიევი)-„ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ“ (თბილისი).
დასაწყისი 19 ს. 30 წ.

გაზეთი გამოდის, სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დადმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის —3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05731